

საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებს დიპლომატიები დადებითად აფასებენ



2018 წლის არჩევნებზე მიღებული გამოცდილება და სამომავლო გეგმები განიხილეს სასტუმრო “ბირტმორში” მიმდინარე კონფერენციაზე მონაწილეებმა – ევროსაბჭოს, ევროკავშირის, ამერიკის

დიპლომატიური წარმომადგენლებმა, ასევე, პარლამენტის თავმჯდომარემ, ცესკოს ხელმძღვანელმა და ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფებმა.

აშშ–ს ევრის მოვარეობის შემსრუდებერმა როს უიდსონმა საპრეზიდენტო არჩევნების შეფასების დროს აღნიშნა, რომ საქართველომ ბოლო სამი ათწლეულის განმავრობაში დიდი პროგრესი განიცადა.

„სხვადასხვა საერთაშორისო ანგარიშებში ეს იქნება “ოდირის”, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშები, ასევე, საერროს საკუთარ შეფასებაში არის მითითებული გარკვეულ პრობრემებსა და ხარვებებზეც, რისი გადაჭრაც მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის წარმატებული და დემოკრატიული განვითარებისათვის. მივესადრმები პარლამენტარებისა და სხვა სამოქარაქო ჯგუფების ჩართურობას“, – განაცხადა უიდსონმა.

ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელი, კრისტიან ურსე ამბობს, რომ საქართველოს დაუგროვდა საკმაოდ კარგი გამოცდილება დემოკრატიული არჩევნების ჩატარების, თუმცა ბოლო არჩევნებმა გამოწვევები აჩვენა.

„მაგარიტად ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება, საარჩევნო ადმინისტრაციების არაჯეროვანი დაკომპლექტება, ნეგატიური კამპანია, სიძურვილის ენა. იმედი მაქვს, ჩვენი დისკუსიები შექმნიდ ვითარებას გააუმჯობესებს.“, – განაცხადა ევროსაბჭოს წარმომადგენელმა.

ევროკავშირის ედრის, კარდ ჰარცელის თქმით კი, უნდა დაიწყოს ყველა იმ რეკომენდაციაზე ფიქრი და მსჯელობა, რომელიც მოხსენიებულია ეუთოს ანგარიშში.

„ ვფიქრობ, დრო არის ძალიან ცოტა და დღევანდელი შეხვედრა არის ამ პროცესის და ამ რეკომენდაციების გააზრების დასაწყისი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობისთვის სამომავლოდ და იმედი მაქვს, დღეს ნაყოფიერად დავიწყებთ ამ თემატიკაზე მსჯელობას.

ვფიქრობ უმთავრესი ედემენტებია საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი, ძალიან მნიშვნელოვანია დაფინანსების თემატიკა და პარტიული და სახელმწიფო რესურსების გამიჯვნა. ეს რეკომენდაციები ჩვენთვის არის სამოქმედო გეგმა, რომელსაც უნდა მივდიოთ 2020 წლის არჩევნებამდე“, – განაცხადა კარდჰარცელმა.